



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 თებერვალი, ხუთშაბათი, 1987 წ.

№ 30 (9441) • შპხი 8 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხალხვნებისა და სპორტის საერთაშორისო

ფესტივალის „რანდეგუ-87“ მონაწილეებსა და სტუმრებს

გულითადად მივსალმებით ხელოვნებისა და სპორტის საერთაშორისო ფესტივალის „რანდეგუ-87“ მონაწილეებსა და სტუმრებს, რომელმაც შეკრიბა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები.

თქვენ შეიკრიბეთ კვებეკში, რათა ხელო ჩამოართვათ ერთმანეთს, გაუზიაროთ ეროვნული კულტურის მიღწევები, გამოცადოთ ძალები პოკეისტა ლია შერკინებაში. სწორედ ასეთ პატიოსან ასპარეზობას, სხვადასხვა ხალხის ტრადიციებს, გამოცდილებასა და ზნე-ჩვეულებების შეპირისპირებას, ადამიანთა უშუალო ურთიერთობას ფსადაულებელი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და ნდობის მოგვარებაში, რომლებიც ესოდენ საჭიროა დღეს.


თქვენი ფესტივალის ლოზუნგი — „ხელოვნება და სპორტი მშვიდობისათვის“ შეესაბამება საბჭოთა ადამიანების მისწრაფებებს. ჩვენი იდეალია უომო და უიარაღო მსოფლიო, რომელშიც სიცოცხლის უფლება უნდა დამკვიდრდეს პლანეტის ყველა ადამიანის უპირველეს, წმიდათაწმიდა უფლებად. სწორედ ამ მაღალი მიზნის მიღწევას — უბირთვო მსოფლიოს აშენებასა და მთელი კაცობრიობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მივძაპრობთ ჩვენს ფიქრებსა და ვახმარო პრაქტიკულ ღონისძიებებს.

დღეს არავის არა აქვს უფლება განზოგადდეს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას — ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის მტკიცე საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებას. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მისი გადაწყვეტა უნდა ვეძებოთ კოლექტიური პასუხისმგებლობისა და კოლექტიური მეცადინეობის გზაზე.

დაე თქვენი ფესტივალი იყოს მშვიდობისა და პროგრესისადმი ერთგულების დემონსტრაცია.

ვისურვებთ ბედნიერებასა და წარმატებებს.

ა. გრომიკო.



მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო შეჯიბრებას უკვე ისტორია აქვს — წელს მესამედ იმართება, თანაც საქართველოს „თეთრ მარგალიტ“ ბაკურიანში — მეორედ. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია მოთხილამურე არქიტექტორთა შტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტს ალექსანდრე ჯანაშიას.

მის სამუშაო ოთახში განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონი. ხაიდან არ რეკავდნენ. ვინ არ რეკავდა, რა ხაკითხზე არ რეკავდნენ. ჩვენი იქ ყოფნისას ბატონმა ალექსანდრემ ილაპარაკა პრადახთან, ხოფიხთან, ბერლინთან.

ახლა თქვენი შეკრების ემულემაზე გვინდა გაითხოთ. გახულ წელს ციყვი აირჩიეთ, წელს კოხტაგორიდან დაქანებული მხიარული უურცქვიათა კურდღელი.

ბაკურიანის ტყეში მელიასა და ციყვის გარდა კურდღელიც მრავლად არის, თანაც წლევეანდელი წელი ხომ კურდღლის წელია. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, არქიტექტორთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის პრეზიდენტი იყავით, გახულ წელს კი თქვენმა კლუბმა აბრა შეიცვალა — არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბი (სკია) დაერქვა. რამ გამოიწვია ასეთი მეთამორფოზა?

— არქიტექტორებმა გადაწყვიტეს, რომ კლუბში გაეერთიანებინათ არა მარტო მოთხილამურეები, არამედ ჩოგბურთელებიც, მელიანეებიც, კალათბურთელებიც, ფრენბურთელებიც... რატომ ველოდოთ მხოლოდ თოვლსა და ყინვას, თანაც, იქნებ ზამთარში სპორტისათვის ყველამ ვერ მოიცილოსო. მაგრამ გეტყვი, რომ არქიტექტორთა კლუბის მთავარი პროფილი მაინც სამთო სათხილამურო სპორტია.



მოთხილამურე არქიტექტორთა III საერთაშორისო შეჯიბრება

არქიტექტორები კვლავ ბაკურიანში იბრძობიან

თამაზ დალაქიშვილს კარგი ემულემა გამოუვიდა და მჭერა, რომ ჩვენი უურცქვიათა ისეთივე პოპულარული გახდება, როგორც „ციყვი-85“.

მესამე საერთაშორისო ჩემპიონატი... მაგრამ არქიტექტორთა საკავშირო პირველობასაც ხომ ატარებთ?

პარალელურად. ბაკურიანში იგი რიგით მეათე, სათხილამურო იქნება. ალბათ ბრძოლა პირველობისათვის აქ არანაკლებ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართება.

ჩვენს შეხვედრას, რომელიც 12 თებერვალს დაიწყება თბილისში, თფიციურად საერთაშორისო სემინარი და ჩემპიონატი ეწოდება. ყველა სათხილამურო შეჯიბრებას წინ უძღვის არქიტექტორთა თეორიული და პრაქტიკული სემინარი. საქმე ისაა, რომ ჩვენს შეხვედრაზე ძირითადად იკრიბებიან შემოქმედებითი მუშაკები, ისინი, ვინც სამთორეკრეაციული ზონების, სპორტული კომპლექსების დაგეგმარება-პროექტირებაზე მუშაობენ.

ვიცით, რომ ბაკურიანში ამჯერადაც გაიმართება საერთაშორისო კონკურსები, მოეწყობა საინტერესო გამოფენები...

ნ. მ. 3 33



თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ამ დღეებში ხაზეიმოდ გაიხსნა საკადრაკო კლუბი „მაია“. ნორჩებთან შესახვედრად კლუბის გახსნაზე მაია ჩიბურდანიძესთან ერთად მოვიდა გოგონათა შორის სსრ კავშირის წლევეანდელი ჩემპიონი სოფიკო ნიკოლაძე. მაია ჩიბურდანიძემ ერთდროული ხეანხი ჩაატარა ოც დაფაზე.

დ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



გუზინ...

თბილისის სპორტის სახსლში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივი „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 72:69 (40:29).

ხალხმონარილია შეთანხმება

ვაზინგბონი. (საკდესი). აქ ჩატარდა მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია. საბჭოთა მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე მ. ვ. გრამოვემა, ამერიკელთა მხრიდან კი — აშშ-ის პრეზიდენტის კაბინეტთან არსებული ფიზიკური მომზადებისა და სპორტის პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარე მ. ჯ. ალენმა. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს მასობრივ ფიზკულტურულ პროგრამებში ერთობლივ მონაწილეობას, ახალგაზრდების ფიზიკურ მომზადებას სსრ კავშირისა და აშშ-ის ნორმატივების მიხედვით, ფიზიკური აღზრდის სკოლის მასწავლებლებისა და სპორტული ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლას.

ცერემონიაზე აღინიშნა, რომ ხელმოწერილი შეთანხმება განხორციელდება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის 1985 წლის 21 ნოემბერს ქენედაში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრა საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი.



თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართა ქალაქის ღია პირველობა მძლეობნურ კროსში. შეჯიბრება მიზნად იხაზავდა კანდიდატების გამოვლენას რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის, რომელიც მალე ქვეყნის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ გუნდის დაკომპლექტების საკითხი მაინც ღიად დარჩა...

ნ. მ. 3 33



ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავისათვის

„ჩვენს სსსრკელებს ასპარეზობა“

ფიზიკური აღზრდის საკითხები ილია ჭავჭავაძის შურნალ „საპარტეზლოს მოაზრებით“

სსსრკელებს ასპარეზობა

26 წლის იყო ილია ჭავჭავაძე, როცა შურნალ „საპარტეზლოს მოაზრებით“ ჩაუდგა სათავეში და ერის „გამოფხიზლების“ საშვილიშვილო საქმე ითავა. შურნალმა მხოლოდ ერთ წელს იარსება, მაგრამ ბევრის გაკეთება მოახერხა, თუმცა უთქმელიც ბევრი დარჩა. შურნალი პირველ რიგში პოლიტიკურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს უთმობდა ადგილს, მაგრამ არც პედაგოგიკის და, კერძოდ, ფიზიკური აღზრდის მიმართ დარჩენილა ვალში. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანს იარსება, მან ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე სამი წერილის დაბეჭდვა მოახერხა.

შურნალის პირველსავე ნომერში დაბეჭდა „გ. თ.“-ს (ვახტანგ თულაშვილის) კორესპონდენცია. ავტორი ხაზს უსვამს, რომ თამაშობებში ბავშვთა სტიქიური, უმთავრესად რთო მონაწილეობა, მათ არა მარტო ფიზიკურ, არამედ ხელოვნურ სამყაროზეც უარყოფითად მოქმედებს. „ეს ბავშვები, — შენიშნავს ავტორი, — ცოტა რომ მოჩიტიდებიან, დიწყებენ მინდორში ბუნებრივობას და თრევას. დედ-მამა შინ ვეღარა ხედავს, თუ არა ღამით, როცა ლაფში ამოვლებული, დაქანებული და დაღლილი მიუვთა შინ შვილი დასაძინებლად. ხან ურემზე, ხან კალოზე, ხან ჩიტის ბუდეების საქმეზე დადრის საწყალი ბავშვი, ბინდის დროს მოსამსახურებში გაერევა და უგდებს ყურს სხვა და სხვა უწყალო ლაპარაკს; აი, ამგვარად ატარებენ თავის სიყმაწვილსა ჩვენი ყმაწვილები“ (№ 1, გვ. 133). ძნელი არა იმის მიხედვითა, რომ შობილებთან ერთად ავტორი აკრიტიკებს არსებულ სოციალურ ვითარებას, რომელიც მძიმე შრომაში ჩაბმულ შობილებს საშუალებას არ აძლევდა შვილებისათვის ყურადღება მიექციათ.

მოზარდი თაობის აღზრდაში არსებული პრობლემებით დაინტერესებულ ილიას, როგორც ირკვევა, აწუხებდა ის გარემოება, რომ საქართველოში არ არსებობდა პედაგოგიური ლიტერატურა და ცდილობდა შურნალში დაბეჭდილი მასალებით შეეცნო ეს ხარვეზი. ამჯერად მას შეურჩევია ცნობილი გერმანელი პედაგოგის კ. გ. ზალცმანის პედაგოგიური თხზულება „კონრად კიფერი, ანუ დარიგება შვილების კარგად აღზრდისათვის“, რომელიც შესანიშნავად თავგანწირულად აღწერს, თვით ილიამ კი ამ ნაწარმოებს ვაუკეთა საკუთარი წინასიტყვაობა, რომელიც საქმის ღრმა ცოდნითაა შეფასებული პედაგოგიური მეცნიერების მდგომარეობა საქართველოში. ილია წერს: „ზალცმანის თხზულებები ძლიერ ადვილი გასაგები უნდა არის დაწერილი და ყველას ადვილად შეუძლია მისი აზრები აღსრულებაში მოიყვანოს, როგორც შვილებს თვითონვე შენიშნავენ ამ სტატიის კითხვაში. ამ მიზეზებისა გამო ჩვენის საზოგადოებისათვის სხვა საპედაგოგო თხზულებებს ჩვენ ჯერ ეს თხზულება ვარჩიეთ და იმედი გვაქვს, რომ იგი იქნება სასარგებლო იმ შობილებსათვის, რომელნიც ზრუნავენ თავის შვილების რიგვან აღზრდაზე“. ილია ბავშვთა არასწორი აღზრდის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ „ჩვენი ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილები“ მოკლებულნი არიან შობილთა ყურადღებას, მათგან გონიერ ჩარევასა და დახმარებას. ეს წინასიტყვაობა იმდენად ღრმად და სამართლიანად აშუქებდა საკითხს, რომ როდესაც ზ. კიჭინაძემ 1912 წელს წიგნად გამოსცა ზალცმანის თხზულება, მას იგივე წინასიტყვაობა დაურთა.

კ. ზალცმანის პედაგოგიური აზრების მეშვეობით ქართველ საზოგადოებრიობას ყოველმხრივი აღზრდის პრობლემებზე და მათი სწორად გადაწყვეტის გზებზე და საშუალებებზეც გარკვეული წარმოდგენა შეექმნა. განა საქართველოს სინამდვილე არ ასახავდა ნაწარმოების ერთ-ერთი გვირის, პასტორის დანაწილებით ნათქვამი ეს სიტყვები: „აქამდინ ყველაფერი კარგად არის ჩვენს სასწავლებლებში, მხოლოდ ერთი რამ აკლია — ასპარეზობა“.

ნაწარმოებში შესანიშნავადაა შესახებულებული აღზრდის მნიშვნელობა და ფიზიკური აღზრდის როლი, ნათქვამია, რომ აღზრდის რომელიმე მხარის გაფერხებამ და ერთიანი ჰარმონიული პროცესის დარღვევამ შეიძლება დიდი ზიანი მოიტანოს. „ადამიანი საკვირვანი რამ არის, — ვითხულობთ ნაწარმოებში, — როგორც ვიცით, ის არის შედგენილი სულისაგან და სხეულისაგან და უამაოთ არ შეუძლიან ცხოვრება. მაგრამ კაცი ხან სულს დაივიწყებს ხოლმე, ხან სხეულსა... აი, ეს დაუდევრელობა არის მიზეზი ამდენის ავადმყოფობისა. შევასრულოთ ეს ნაკლოვანება, მეგობარნი ჩვენო, და მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენ სასწავლებლებში სულის გარდა სხეულიც იზრდებოდეს“. შემდეგ ნაწარმოების ავტორი გვიზიარებს ზოგიერთ მოსაზრებას ფიზიკური ვარჯიშების თაობაზე, ბოლოს კი პასტორის პირით ავტორი ასე ასურათებს ვარჯიშობა-თამაშობათა საბოლოო მიზანს: „შვილებო, მე გასიამოვნებთ ამგვარი დროს გატარებით იმით, რომ თქვენ შეიქმნათ ჯანმრთელი, ლინიერი და მარტო და იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეგეძლოთ თქვენის თავის შეკლა. ზმირად მიიტეხს კაცი ფეხსაც, ზელსაც, ხანდის ხან კისერსაც და ძალიან ხშირად უფრო ის კაცი, რომელიც ყოველთვის წყნარად დადის. აქნება ამ წყნარ ხალხს ხელიც შეიკრინდეთ და ფეხიც — ვიმნასტაჯხედ რომ ევარჯიშნათ პატარაობაში“.

შემთხვევითი არ იყო, რომ აღზრდის, განსაკუთრებით ფიზიკური აღზრდის, პრობლემებზე მომუშავე ქართველი სპეციალისტების ნაკლებობა გამო ილიას უხდებოდა უცხოელ პედაგოგთა ავტორიტეტის მოშველიება და მათი ნაწარმოებების გამოკვლევა. მესამე წერილიც, რომელსაც „საქართველოს მოაზრებაში“ დაეთმო ადგილი, დიდი რუსი საზოგადო მოღვაწის ბ. გ. ბელინსკის აღზრდის საკითხებზე გამოქმულ შეხედულებებს ეძღვნება. წერილსაც ასე ჰქვია „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“.

ბელინსკი, როგორც „საქართველოს მოაზრებაში“ ამცნობდა ქართველ მკითხველს, მკაცრად გამოხატა აღზრდაში ისეთი მანვე მეთოდის გამოყენებას, როგორცაა ფიზიკური დასჯა, წერდა, რომ იგი მომავალში მოკლებულნი იქნებიან არა მარტო ორგანიზმზე, არამედ სულიერადაც ავნებებს ბავშვს. „ამცნობებს ბავშვის ღირსებას, კეთილშობილურის სულის თავისუფლებას ავიწროებს“.

როგორც აღვნიშნეთ, მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს ილია „საქართველოს მოაზრებაში“ ძირითადად სამ წერილში შეხება. მათგან პირველი მოკლედ და გარკვევით მაინც უთხრა თანამედროვეებს და ბავშვთა ჰარმონიული აღზრდის ზოგიერთი გზა და საშუალებაც ვააცნო მათ.

მოდით, სინამდვილეს თვალი გაუსწოროთ და ვთხაროთ: რაც ილიას შურნალში „საქართველოს მოაზრებაში“ ამ 124 წლის წინ ურჩია თავის მკითხველს, განა დღესაც რჩევად არ გამოადგებათ ზოგიერთ აღზრდელს, სკოლასა და ოჯახს? გავისხენოთ ჩვენი მასობრივი-ფიზიკულტურული და გამაჟანგებელი მუშაობის ერთი მხარე — შობილების პასუხისმგებლობა საკუთარი შვილების ჯანმრთელობაზე და ფიზიკურ განვითარებაზე. ჩვენი ბავშვები ხომ ეზოებს და ქუჩებში უფროსების, შობილების მეთვალყურეობის გარეშე თამაშობენ. ბავშვი თვითონ ზრდის თავის თავს, ზმირად მონაწილეობს უხეირო, ხეივანი თვალსაზრისით საექვო თამაშებში, შობილებს კი არ სურთ, როგორც „საქართველოს მოაზრებაში“ შენიშნავდა, ბავშვებს წაჰყვანენ სათამაშოდ, გახდნენ მათი თამაშობისა და ცეცქობის მოწყვეტი.

...ოცდაათი წელია ტურისტულ ბილიკებზე დავდივარ პატარა ჯგუფთან ერთად. თბილისის შემოგარენში არ დავციტოვებია არც ერთი ბილიკი, მაგრამ კვირადღესაც კი მზიან და სასიამოვნო ამინდშიც იშვიათად შეგვედრივართ ტყეში შვილებთან ერთად სასიეროდ გამოსულ შობილებს. მოდიოთ, ჩავუკვიროდეთ „საქართველოს მოაზრებაში“, „ღრობის“, „ივერიის“ რჩევა-დარიგებას. თვით ილიას სიტყვებს: „ცდებიან ისინი, ვინც მხოლოდ გონების გახსნით კმაყოფილდებიან და იფიქრებენ იმას, რომ კაცს ტრენი და აგებულება აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშით უნდა გავლონიერდეს, გამაგრდეს!“ ქემარტლდ მამაშვილური დარიგებაა.

ავთანდილ ციხაძე.

სარკვევებზე — საჯაროდ!

შეჯიბრებას უიელოდ დაგვტოვა

სულ ვალე მანდაზი ბაიბარტაბა სსრ კავშირის ჩამოთხაბი მკლათსნაჲ კროსო. ჩაენი ჩანსაზალინიის ნაპრაბი გუნდის 12 წაბრის შარჩაზა კი სპეციალისტებს უზირთ. თაბი იჩინა მუშა-ოზაბი დაზეაუღმა შეცდომეზა და უპასუხისმგებლოზა...

უკვე რამდენიმე წელიწადია აღარ ტარდება საკავშირო და რესპუბლიკური კროსები ვაზეთ „პრაედის“ პრიზზე. ვიდრე ეს შეჯიბრება „ძალაში იყო“, ნებით თუ უნებლიედ, ყველა სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევდნენ კროსმენტა მომზადებას, აკომპლექტებდნენ გუნდებს და გამარჯვება თუ მარცხი გულთან ახლოს მიჰქონდათ. თავის მხრივ ეს მასობრივი შეჯიბრება ნიჭიერ მძლეოსანთა გამოვლენაში ეხმარებოდა მწვრთნელებს.

რესპუბლიკური და საკავშირო კროსები ახლაც ტარდება, მაგრამ ბევრ სპეციალისტს გული გაუცივდა ამ შეჯიბრების მიმართ. თავი და თავი ალბათ ის იყო, რომ ამ ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლას უკვე დაბეჭდილებით აღარ სთხოვდნენ მათ და მარცხსაც ადვილად მიუტევენდნენ ხოლმე. პარკში თუ

ბუნების წიაღში გამართული შეჯიბრებების სარბილზე ბევრი რბენის მოყვარული გამოდიოდა და ამით კროსები ერთგვარად აცოცხლებდნენ ფიზიკულტურულ მოძრაობას. მაგრამ სამაგიეროდ, დაიკარგა კროსის წმინდა სპორტული მხარე, იგი თითქოს გაემიჯნა მძლეოსნობას. რესპუბლიკაში შემცირდა ჯგუფების რაოდენობა საშუალო და გრძელ მანძილზე რბენაში. რამდენიმე დღის წინ უკვე მწვრთნელებს სამი გოგონაც კი ვერ მოუწახავთ, რათა კროსმენტა საკავშირო ჩემპიონატში სრული გუნდი გამოიყვანონ. აღრე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, სპორტსკოლებში ათობით სპორტერთა ჯგუფთა ვახსნილი, საშუალო მანძილზე რბენაში კი — თითო-ორთა.

გასულ კვირას სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდა თბილისის ღია

პირველობა მძლეოსნურ კროსში. ეს შეჯიბრება იმ მწვრთნელთა დაქინებულ მოთხოვნით შეიტანეს კალენდარში, რომლებსაც მძლეოსან-კროსმენტა რესპუბლიკური ნაკრების მომზადება ევალებათ. საკავშირო ჩემპიონატი კარს მოგვადგა (1 მარტი, ესენტუქი), გუნდი კი, როგორც უკვე ვთქვით, სანახევროდაა დაკომპლექტებული. იპოდრომზე გამართული შეჯიბრება დიდი ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა.

თუ კროსი, ასე თუ ისე, მასობრივ შეჯიბრებას დაემგავსა, ეს იმის წყალობით მოხდა, რომ გუნდების გამოყვანა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებსაც დაეავალეს. ამის შედეგად უმცროს ასაკობრივ ჯგუფში მართლაც ბევრი ნორჩი მძლეოსანი გამოვიდა, სამაგიეროდ უფროსებში, განსაკუთრებით უფროსი ასაკის გოგონათა და ქალთა შორის, მწვრთნელებს არჩევანი ფაქტურად არც ჰქონიათ. ერთადერთი გამონაკლისი გამოდგა ვაჟთა გარბენი 10 კილომეტრზე, რომელშიც 23 სპორტსმენი ჩაება. კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა რუსთავმა (მწვრთნელი ვასილ პეტროვი).

გოგონები. 1000 მ. ნ. მწითლური (განათლების სამმართველო) — 3.39,1; 2. ნ. კვაჭაძე (რუსთავი) — 3.41,5; 3. ლ. ბახმინიანი (საქართველოს პროფსაბჭო) — 3.41,6.

2000 მ. ბ. ასლამიძე — 7.36,0; 2. რ. ბინატოვა (ორივე — რუსთავი) — 7.55,0; 3. მ. ხიდაშელი (საქართველოს პროფსაბჭო) — 8.05,3.

3000 მ. ბ. მირზოევა (რუსთავი) — 11.03,9; 2. ლ. ზედგენიძე („სპარტაკი“) — 11.50,0; 3. ნ. კელიშვილი („კოლმეურნი“) — 12.53,4.

ქალები. 4 კმ. ზ. გუჩუაშვილი („ლოკომოტივი“) — 18.16,0; 2. ი.



ანდრე ნაუმოვი.

სამსიანი — 19.49,0; 3. ნ. ჯღამაძე (ორივე — „ბურევესტიკი“) — 24.00,0.

ვახუშტები. 3 კმ. 1. ა. ნაუმოვი (რუსთავი) — 10.44,0; 2. რ. მიხაილოვი — 11.06,2; 3. ვ. ბაიძე (ორივე — განათლების სამმართველო) — 11.07,8.

5000 მ. ბ. აბრამიშვილი (განათლების სამმართველო) — 17.35,7; 2. ვ. ორდოიანი („ბურევესტიკი“) — 17.36,0; 3. ვ. იბრაგიმოვი (განათლების სამმართველო) — 17.50,0.

8 კმ. 1. ზ. ზიტერი („შრ. რეზერვები“) — 19.48,6; 2. ვ. მანიუკოვი („სპარტაკი“) — 19.51,3; 3. ი. ბუნდუკოვი („ბურევესტიკი“) — 19.56,0.

ვახუშტები. 10 კმ. 1. ი. ციგულიოვი (სპარტაკი) — 32.09,6; 2. შ. ნადირაძე („ბურევესტიკი“) — 32.14,6.

გუნდური. ს. სკოლები: 1. საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სკოლა — 447; 2. განათლების სამმართველოს სკოლა — 512, 3. განათლების სამინისტროს სკოლა — 636 (საჭარბო ქულების მიხედვით).

სპორტსაზოგადოებები: 1. „ბურევესტიკი“ — 263; 2. „სპარტაკი“ — 309, 3. პროფკავშირი — 317.



გოგონები 3000 მეტრზე რბენის დროს.

ლევან გოლოვნიას პრიზზე

ჭუთაისის მკვიდრმა, შემდგომში ფიზკულტურისა და სპორტის ღვაწლმოსილმა მუშაკმა ლ. გოლოვნიამ დიდი ამაგი დასდო ამიერკავკასიაში და საქართველოში ფარიკაობის დანერგვისა და განვითარების საქმეს. იგი ჯერ ბაქოში, ხოლო შემდეგ თბილისში აქტიურად იღვწოდა ამ რაინდული სახეობის პოპულარიზაციისათვის.

ამას წინათ ქუთაისში პირველად ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა დაწინი ფარიკაობაში ლევან გოლოვნიას სახელობის გარდამავალ პრიზზე. შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ჩიქოვანი) მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აჭარის (ორი გუნდი), ზესტაფონის და ქუთაისის (ორი გუნდი) სპორტსმენებმა.

პირად პირველობაში გამარჯვდა ლ. გოლოვნიას სახელობის პრიზი მოთხოვა აჭარის გუნდის წარმომადგენელმა ლ. ჩხარტიშვილმა. მეორე და მესამე ადგილებზე ქუთაისელი მოფარიკავეები კ. ჩიქიძე და კ. ოყროშიძე გავიდნენ.

გუნდური შეჯიბრების ნახევარფინალში მასპინძელთა გუნდმა ანგარიშით 5:3 დაამარცხა თბილისელები, აჭარელმა მოფარიკავეებმა ზესტაფონელებს სძლიეს. ვადამწყვეტ ორთაბრძოლაში მასპინძლებმა დაამარცხებელი ანგარიშით — 5:1 დაამარცხეს აჭარელი სპორტსმენები და გარდამავალი პრიზი დაისაკუთრეს. გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: მ. ლითინი, მეორე ადგილზე აჭარელი მოფარიკავეები გავიდნენ, მესამე ადგილი თბილისელებმა დაისაკუთრეს.


ეს ტურირი ვახუშტ დაწინი მოფარიკავეთა დაოსტატების კარგი სკოლა, ამიტომ იგი ტრადიციული უნდა გახდეს და მასში ვაკიონებით მეტმა გუნდმა მიიღოს მონაწილეობა. ასეთია სპეციალისტების, მწვრთნელთა ერთსულოვანი აზრი.

თამაზ კოლინდელი, („ლელოს“ ხა. კორ.).

არქიტექტორები კვლავ ბაკურიანში იკრიბებიან

(დასასრული)

— აღრე ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ საერთაშორისო კონკურსი „საქართველოს შუამთიანეთისათვის“. კონკურსში გამარჯვებს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ლიბერეცის „სტავოპროექტის“ არქიტექტორებმა მიროსლავ მასკამ, იან შტემპელმა და იოზეფ პატრნიმ. მათ გარდა ყურადღება მიიქცია ცნობილი ესპანელი არქიტექტორის მანოლო ნუნისი — ნინოსის, ბულგარელი, მოსკოველი და თბილისელი არქიტექტორების ნამუშევრებმა. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამმართველომ



„საქართველოში“. რომელიც არქიტექტორთა ახლანდელი შეხვედრის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორია, უკვე მიიღო კონკურსში გამარჯვებულთა სამუშაო ნახაზები. ალბათ ვახსოვთ, რომ ვასილ წელს ჩვენ ვიღვე ერთი საერთაშორისო კონკურსიც „ბაკურიანი-86“ ჩაატარეთ. მას ერქვა „დაბა ბაკურიანი“ — გართობისა და დასვენების ცენტრი“. უკვე შემოსულია საკონკურსო პროექტები, რომლებიც ბაკურიანის საერთაშორისო შეხვედრის დღეებში გამოიფინება. კომპეტენტური ექვთი იქვე გამოავლენს საუკეთესო ნამუშევრებს. საექსპერტო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თამაზ დალაქიშვილი, გიორგი ტონია, პავლე ძინიბაძე, დავით მახარაბიშვილი, ვახტანგ მიქელაძე, დავალებული აქვს ყიურის თავისი მოსაზრებები წარუდგინოს. ბაკურიანში წელსაც ჩატარდება ახალი საერთაშორისო კონკურსი „ყინულის სასახლე“. განზრახული გვაქვს აქვე მოვაწყუთ დიდი გამოფენა „საქართველოს არქიტექტურა გუშინ, დღეს, ხვალ...“

● როგორც ჩანს, კულტურული პროგრამაც საქმაოდ მრავალფეროვანი იქნება...

— დიხ, პროგრამაშია შეხვედრების, დისკოთეკის, კონცერტების მოწყობა, კინოფილმების ჩვენება, გაიმართება საინტერესო საღამოები, გაიხსნება სადისკუსიო კლუბი „აბრე-სკი“, შედგება სკია-ს გენერალური ასამბლეის აღმასკომის სხდომები.

● ახლა შეიკრიბება ვიქვათ ორი სიტყვა.

— შეიკრიბები ქალთა და ვაჟთა (სხვადასხვა ასაკის) გაგანტურ და სპეციალურ სლოლოში გაიმართება. ისინი ტრადიციული სათხილამურო კარნავალით დამთავრდება კონტა-I-ზე 21 თებერვალს. ამის შემდეგ საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი და სტუმრები დაათვალიერებენ თბილისს, მცხეთას, დაესწრებიან სპექტაკლს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.

● სულ რამდენი არქიტექტორი შეიკრიბება ბაკურიანში?

— დაახლოებით 190, აქედან 40-მდე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იქნება. მოთხილამურე არქიტექტორები ჩამოდიან ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, არგენტინიდან, გერმანიიდან. სტუმართა შორის იქნებიან სკია-ს ვიცეპრეზიდენტი მანოლო ნუნისი-ინოვსკი (ესპანეთი), გენერალური მდივანი პლამენ ტიმევი (ბულგარეთი), აღმასკომის წევრი იან შტემპელი (ჩეხოსლოვაკია), კომპანია „ფუქსასი და საკონის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არქიტექტორი მასიმილიანო ფუქსასი (იტალია), ზამთრის ცნობილი კურორტების ბორთვიცისა და პამპორთვის სათხილამურო ცენტრების ერთ-ერთი დამპროექტებელი ნიკოლა ჩიპევი (ბულგარეთი), მოთხილამურე არქიტექტორთა ეროვნული კლუბის თავმჯდომარე იურანდ იარეკვი (პოლონეთი).

● ძველი ჩემპიონებიდან ვის ვიხილავთ?

— ბულგარელ ანი კოკოშკოვას, რიგელებს ცინე დაცესა და ვისვალდის ბერზინშ, ლინინგრადელ ვალერი კაპლუნოვი, თბილისელებს ლევან ლორთქიფანიძეს, კოტე და ზაზა იაშვილებს... სამწუხაროდ, ბაკურიანში ამჯერად ვერ ჩამოვა გასული შეხვედრების ოქროს ლაურეატი სწრაფდაშეგებასა და სპეცსლოტში, ბულგარელი ანტუანეტა ზლატარევა. მალე მას მეორე ბავშვი შეეძინება. ჩემპიონები შეეცდებიან წელსაც წარმატებით იასპარეზონ.



საქმე ისაა, რომ თურმე არც ერთი მათგანი „არ იზიარებს“ ოლიმპიურ პრინციპს: „მთავარია არა გამარჯვება, არამედ შეჯიბრებაში მონაწილეობა“. ხუმრობა იქით იყოს, და კონტა-II-ის ტრასებზე მეტად დამბული ბრძოლა მოსლოდნელი.

● ხად დაბინავდებიან ბაკურიანის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი, სტუმრები, მსახვები, უზრუნველსებენ?

— მათ უმასპინძლებს საერთაშორისო ბანაკი „მზიური ველი“, სპორტბანა „გეოლოგი“, პანსიონატი „კონტა“...

● ტრადიციულ პრიზებზე რას იტყვიან?

— ისინი ამჯერადაც ბლომად გვაქვს, მათ შორის თქვენი რედაქციისაც — ვაჟთა შეხვედრებში ორქიდის ჯამში საუკეთესო შედეგისთვის. შეკრების მონაწილეობისთვის დავამზადეთ სამახსოვრო მედლები (ამაში სომხეთის მოთხილამურე არქიტექტორები დაგვეხმარნენ), ემბლემები, აფიშები...

● ვრწმუნდებით, რომ ორგანიზატორებს ბევრი რამ გაგაეკეთებათ.

— საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე ხელმძღვანელობს, მართლაც დიდი მუშაობა გასწია. სადღესობა პრაქტიკულად ყველაფერით მზად ვართ მასპინძლობისათვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით გულთაღი მადლობა გადავუხადო პირველ რიგში საქართველოს ალკეცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს ენერგიულ სპონსორებს — „საქსახგრომრეწვის“ კომიტეტს, რესპუბლიკის მშენებლობის და საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, სამეცნიერო — სამრეწველო გაერთიანება „თბილენერგომპროვოდს“ და, ცხადია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირს. გვჭერა, რომ თებერვლის 12 დღე დიდხანს დაამასხვრდებთ მოთხილამურე არქიტექტორებს.

ესაუბრა ოთარ ნოშაძე.

საქართველოს სპორტსახკომოში

საქართველოს სპორტსახკომოში გამართა კოლეგიის მორიგი სხდომა. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, კოლეგიაზე განსახილველად შეიტანა სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილებამ. კოლეგია დაეთანხმა განყოფილების შეფასებას, რომ სპარტაკიადისთვის მძლეოსანთა მზადება მიმდინარეობს არაღმამკმყოფილებლად. ვრცელი მასალა ამ საკითხზე ცალკე გამოქვეყნდება.

სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილებამ კოლეგია დაეთანხმა განყოფილების შეფასებას, რომ სპარტაკიადისთვის მძლეოსანთა მზადება მიმდინარეობს არაღმამკმყოფილებლად. ვრცელი მასალა ამ საკითხზე ცალკე გამოქვეყნდება.

● ● ●

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადზე საქართველოს სამხობტო ნაკრები გუნდის წარუმატებლად გამოსვლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მზადებისა და ასპარტაკობის პროცესში მწვრთნელებს ბევრი შეცდომა მოუვიდათ. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ზურაბაული კოლეგიამ გაათავისუფლა სამუშაოდან.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებს დღეს დიდი სარგებლობა მოაქვს ნებისმიერ სფეროში. ამიერიდან საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან იმუშავებს ფიზკულტურისა და სპორტის სოციოლოგიური კვლევის განყოფილება. მიღებულია დადგენილება ამ განყოფილების შექმნის შესახებ.

კოლეგიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭების შესახებ დებულების ახალი რედაქცია. დაადგინეს, რომ ფიზკულტურის ტექნიკურში შემოღებულ იქნება მასობრივი ფიზკულტურის, სამკურნალო ფიზკულტურისა და მასაჟის სპეციალობის ექსპერიმენტული კურსი.

● ● ●

კოლეგიამ განიხილა და შესაბამისი დადგენილებები მიიღო რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გარდაქმნა-გაუმჯობესების სხვა აქტუალური საკითხებზე და დაამტკიცა ნომენკლატურული მუშაკები.

გუშინ, დღეს, ხვალ...

გუშინ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გამართა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელების შეტანის სხდომა. დღის წესრიგში იყო თამაშებისთვის ფრენბურთულთა და ხელბურთულთა კოლექტივების მზადების საკითხი. ორივე გუნდში დღემდე გაწეული მუშაობა დამკამყოფილებლად შეფასდა.

კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში. საქართველოს ნაკრები დაკომლექტებულია რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენებით. პირველი ჩემპიონები დღესვე გამოვლინდებიან.

ხვალ, 11 საათზე, საქართველოს სპორტსახკომის სხდომათა დარბაზში გაიმართება ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლების წარმომადგენელთა თათბირი. განხილულ იქნება სახელმწიფო მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.

საკავშირო ტურნირი მინიფახურთში

სარბიელზე მხოლოდ ჩემპიონები არიან

თბილისელ გულშემატიკორებს კარგად ახსოვთ ამას წინათ სპორტის სასახლის სარბიელზე გამართული ტურნირი მინიფახურთში. აქ ჯერ ქალაქის ჩემპიონი („ვაკე“) გამოვლინდა, შემდეგ კი, რესპუბლიკურ ტურნირში „ვერა“ — ისახელა თავი. მსგავსი ასპარეზობა გაიმართა ერევანსა და ბაქოში. გამარჯვებულები ახლა ჩვენს დედაქალაქს ესტუმრნენ და რიგის „დაუგავას“ და ბათუმის „ხიხანთან“ ერთად მონაწილეობენ პირველ საკავშირო ტურნირში. ასპარეზობენ თბილისის უზნის გუნდებიც: „ვერა“ და „ვაკე“.

მართალია, ერევნელები პირველ მატჩში დიდი ანგარიშით — 0:4 დამარცხდნენ ბათუმელებთან შეხვედრაში, მაგრამ ინსტიტუტის ინჟინრები ავერტი ხალათიანი და არ-

სენ სტეპანიანიც მაინც კმაყოფილნი არიან.



მომენტი შეხვედრიდან: „ვერა“ — „დაუგავა“.

უგავა“ — 7:0, „ვაკემ“ სძლია „არარატი“ — 2:0, „ვერა“ — „ბაკინეცის“ შეხვედრა დასრულდა ფრედ — 1:1.

მომდევნო დღეების განრიგი ასეთია:

12 თებერვალი. 18 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან: „არარატი“ — „დაუგავა“, 19 ს. „ხიხანი“ — „ბაკინეცი“, 20 ს. „ვაკე“ — „ვერა“.

13 თებერვალი. 18 ს. „ბაკინეცი“ — „დაუგავა“, 19 ს. „ვერა“ — „არარატი“, 20 ს. „ხიხანი“ — „ვაკე“.

14 თებერვალი. 14.30 „ბაკინეცი“ — „არარატი“, 15.30 „ვაკე“ — „დაუგავა“, 16.30 „ვერა“ — „ხიხანი“.

15 თებერვალი. 14.30 ბრძოლა გაიმართება V-VI ადგილებისთვის. 15.30 — III-IV ადგილებისათვის. 17 საათზე დანიშნულია ფინალური მატჩი.

მთავარი პრიზი „ზენიტს“

ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის ხელოვნურსაფარიან მიწორზე, დამთავრდა დამამოტივებული ქალაქების ფეხბურთული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მთავარი პრიზი მოიპოვა ლენინგრადის „ზენიტმა“. იგი ფინალურ მატჩში პოლონეთის ქალაქ გდანსკის „ლეხის“ შეხვედა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) და „დინამო“ (ლენინგრადი). გაიმარჯვეს იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა — 4:2.

ლენინგრადის „ზენიტ“ საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გამეზავრა საზღვრეთ ამერიკაში, იქ იგი შეხვდება უფრეგასის, პერუსა და ბოლივიის სტრუდებს.

დაზარალებული არაპინაა

საგვითა პაპოვიჩის ჩამოშორება პრინციპი

პაპოვიჩი, 11 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). გუშინ „სპორტპალეს“ რინგზე ჩვენი მოკრივეებიდან მხოლოდ ფოთელი იური საოჩიანი (63,5 კგ) გამოვიდა. მან კარგად ჩაატარა ორთაბრძოლა „რუსეთის“ ფედერაციის წარმომადგენელთან ვლადიმერ ლოსიჩინთან, სამივე რაუნდში თანაბრად, აქტიურად იბრძოლა და მსაჯებმაც გამარჯვების ნიშნად მას აუწიეს მარჯვენა. 4:1 — ასე შეფასდა ეს ორთაბრძოლა.

გუშინ კარგი განწყობილებით, მოკრივეები გულმოდგინედ ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეხვედრებისთვის და, რაც მთავარია, წარმატებისაკენ.

წინა რეპორტაჟში გაცნობეთ, რომ ჩვენი მოკრივეები საკმაო პატივში არიან. აქ, ლიტვაში, დამარცხებულნი კი ტაშით აცილებდნენ რინგიდან. ჩვენ არაფერი გვითქვამს მსოფლიოსა და ორგანიზაციის წევრობის ჩემპიონის, კუბიშვიელის სპორტის დამსახურებული ოსტატის ვასილ შიშოვისა (67 კგ.) და ეროსი მარგინის ორთაბრძოლაზე. მართალია, ქართველი სპორტსმენი დამარცხდა, მაგრამ მკაცრი მსაჯების და სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო.


რეაქციისაგან: აქ ვწყვეტ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ლევანდელ რეპორტაჟს კაუნასიდან და სიტყვას საკდესის კორესპონდენტს გ. ხაჩკოვსიანს გადავცემთ:

„...საქართველოს წარმომადგენლის ეროსი მარგინის მსაჯების რეაქციაში ყოფნა განსაკუთრებით დასაინანი. მან ხომ მხოლოდ ქულებით დათმო ორთაბრძოლა თვით შიშოვთან.

— აუცილებლად ჩამოვყალიბებ კრივის სექციას, უკვე ბევრი დამიგროვდა შეგირდებისთვის სათქმელი და საჩვენებელი, — გვითხრა ეროსიმ, მაღალმთიან სოფელ ლენჯერის ფიზკულტურის მასწავლებელმა.

შეჯიბრებაში თორმეტივე შარშანდელი ჩემპიონი მონაწილეობს. აქ არიან მსოფლიოსა და ევროპის პირველობაში გამარჯვებულნიც. ყველას თავისი სტილი, ტექნიკა და ტაქტიკა აქვს.

გვახარებს ის, რომ ჩვენი მოკრივეები, წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად კი, ქებას და მოწონებას იმსახურებენ. მთავარია რაინდული სული და ბუნება გამოავლინო, დამარცხება კი... დაუმარცხებელი ხომ არავინაა...



ქაა კიოსთვის...

დაზარალებულთა დასახმარებლად

● თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს თანამშრომლებმა ხელფასის 3 პროცენტი გადაიტყვეს და ხმარების ფონდში.

ზაალ ბარბაქაძე, სამმართველოს უფროსი.

● ლენინური კომპაზიციის სახელობის ცენტრალური საწყობის სპორტული კომპლექსის თანამშრომლებმა ერთი დღის ხელფასი — 530 მანეთი და 1986 წლის მეოთხე კვარტლის პრემია 6034 მანეთი გაიღეს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ვლადიმერ გოიაშვილი, სპორტკომპლექსის დირექტორი.

● ჩვენმა კოლეგებმა 2530 მანეთი გადაიტყვეს № 700 ანგარი-



„კლდის ვეზვი“ სპანთიდან

„შევიტყვე, რომ ცნობილი საბჭოთა ალიანსის მიხედვით ხერგაინის მშობლიურ კოტხეში გაიხსნა მისი მუზეუმი. გვიამბო, თუ შეიძლება, ამ შეხანაშნავ მთავრებულზე.“

ი. გოლდინი, ლენინგრადი.

მისი სახელი ლეგენდებით არის გარემოწილი. სამთო ასვლების უბაღლო ოსტატის ნამდვილი ზელოვნების მოწმე ყოფილა კავკასიონი და პამირი, ალპები და ტიან-შანი. საბჭოთა კავშირის მრავალჯერ ჩემპიონის მთამსვლელობას და მეკლდეურობაში, სპორტის დამსახურე-

ბულ ოსტატს მიხედვით ხერგაინის ინგლისსა და შოტლანდიაში უნიკალური სირთულის კლდეების დაპყრობისათვის „კლდის ვეზვის“ წოდება მიენიჭა, რაც მეკლდეურთა ოსტატობის უმაღლესი საფეხურის გამომხატველია.

...ეს მოხდა იტალიის ჩრდილოეთში, დოლომიტის ალპებში 1969 წლის 4 ივლისს, მიხედვით ხერგაინი და ვიანესლავ ონიშჩენკო დილადრიან გავიდნენ მე-6 კატეგორიის ურთულეს მწვერვალ სუალტოს კედელზე ასასვლელად (უმაღლესი კატეგორია, ექსტრა კლასის სირთულე). 13 საათზე, როცა სპორტსმენებმა მარშრუტის სამი მეოთხედი გაიარეს და მწვერვალს უახლოვდებოდნენ, მოხდა კატასტროფა. ქვათა ცვენა, რაც აქ დიდი ხანი იყო, არავის ენახა, მოულოდნელად დაატყდა ხერგაინს და გადაჭრა ოთკი, რომელიც მას ამ დროს კლდის ქვის იქით მყოფ ონიშჩენკოსთან აკავშირებდა. მიხედვით ხერგაინი კედელს მოსწყდა და გადაიჩნხა.

იმ ასვლის ერთ-ერთი მონაწილე, სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი მიხედვით ანუფრიკოვი წერდა: „როცა საკაცე საბჭოთა მთამსვლელების ნეშტი ხანაყის ტერიტორიაზე გაატარეს, მორიგე ოცეული ქვემეხებთან



სმენაზე დადგა, ხოლო იტალიის სახელმწიფო დროშა დაუშვეს...“

რამდენიმე წლის წინათ მიხედვით ხერგაინის მშობლიურ დაბა მესტიაში ცნობილი მთამსვლელების სახელმწიფოში გაიხსნა.

...ალპენშტოკი, დამზღვევი სარტყელი, სათვალე, ზამთრის ყელიანი ფეხსაცმელი, წვერილები, ფოტოსურათები, ჯილდოები... მუზეუმის სტენდებზე ათასამდე ექსპონატია გამოფენილი.

აი, ერთ ფოტოზე აღბეჭდილია, როგორ ეუფლება მიხედვით ხერგაინი

ნი პირველ სპორტულ ჩვევებს დაბარდა. ბალკანეთში, შვეიცარიაში, ნაქში. აქვე გვერდით ფოტოზე ვხედავთ უმცირეს სპორტულ მომსახურე-თა კვლევას — ლაპარაკს მიმდევს. ეს იყო ერთ-ერთი რთული ასვლა მთამსვლელობის ისტორიაში. სპორტსმენებმა ამ შევეულ კედელს „სარკე“ უწოდეს. ხერგაინმა ამხანაგებთან ერთად პირველმა გაიარა იგი და ქვეყნის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა.


აი, დღიურის ჩანაწერები, სადაც მიხედვით ხერგაინი მოგვითხრობს პამირში მოწყობილ მეორე ქართულ ექსპედიციაზე. იგი კომუნისტების პიკეტაჟიდან მანამდე გამოუკლვევი ბელიავეის მყინვარით და გავალა ახალი მარშრუტი, რომელსაც დღეს „ქართულ გზას“ უწოდებენ.

ამჟამად მიხედვით ხერგაინის სახელი ჰქვია თურქესტანის ქედის ერთ-ერთ მწვერვალს, ქუჩას, საშუალო სკოლას მის მშობლიურ მესტიაში.

1969 წელს გამოჩენილი საბჭოთა მთამსვლელების სხონის უკვდავად დაწესდა მისი სახელობის გარდამავალი პრინციპი — სპორტულ მეკლდეურობაში გაყვასა და კავშირის ჩემპიონატში მოპოვებული საუკეთესო ინდივიდუალური მიღწევებისთვის.

ი. რაქვიანი, „სოვეტსკი სპორტი“, 11 თებერვალი, 1987 წ.

შეჯიბრება - ჩემპიონი



ნიუ-იორკი. მოულოდნელი შედეგით აღინიშნა აშშ-ის ჩემპიონატი ფიგურულ ჯიგურათობაში ქალთა შორის. საველიდებლო და მოკლე პროგრამის შემდეგ დაწინაურებულმა მსოფლიო ჩემპიონმა დევი თომასმა ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ პირველობა 18 წლის ჯილ ტრენარის დაუთმო. ვაჟებში ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონმა ბრაიან ბოიტანომ მესამედ მოიპოვა. სპორტულ წყვილთა შორის ჩემპიონი ჯილ უოტსონისა და პიტერ ოპეგარის დუეტი გახდა. მოცეკვავეთა შორის კი ყველას სიუზან სემანიკა და ჯოტ გრეგორი ამჯობნეს.

ზაგამ. პოლონეთის მძლეოსნთა ჩემპიონატში მარიან ვორონინმა 60 მეტრი 6,35 წამში გაიარა. ეს ევროპის ახალი რეკორდია დახურული დარბაზებისთვის. სხვა შედეგებიდან შეიძლება აღვნიშნოთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების

ციოსურ პარანა

ცენტრალური ტელევიზია. 12 თებერვალი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საპარადო სკოლა — 12.00 (2); სათხილამურო სპორტი.

ჩემპიონის იაცეკ ვოლას მიჩვენებულ სიმალეზე ხტომაში — 227 სანტიმეტრი.

აუღაპაშვი. ხმლით მოფარაკვეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „უზგრეთის თასი“ მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამაში შედის და ამიტომაც სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები დიდ ინტერესს იწვევს. გამარჯვება ამჯერად იუნიორთა შორის მსოფლიოს ექსპედიციონმა პოლონელმა იანუშ ოლეგმა მოიპოვა. ფინალში მან იტალიელი მარკო მარინი დაამარცხა — 10:4. საბჭოთა მოფარაკვეთაგან საუკეთესოდ გიორგი პოლოსოვმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

სოფია. აქ ჩატარდა სტუდენტ მძლეოსნთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც თავი გამოიჩინა თარგბენში მსოფლიო რეკორდსმენმა ბულგარელმა იორდანკა დონკოვამ. 60 მეტრზე მან 7,81 წამი აჩვენა — მსოფლიოს საუკეთესო შედეგი სეზონში დახურული დარბაზებისთვის.

ვენეციანეზი. გდრ-ის მძლეოსნთა ზამთრის პირველობის ერთ-ერთი ფავორიტი მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ჰაიკე დრე-

პსლერი იყო. 100 იარღზე რბენაში მან 10,15 წამი აჩვენა. დრეპსლერმა მოიგო აგრეთვე თავისი ძირითადი სახეობა — სიგრძეზე ხტომა — 702 სმ. სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია მარლოზ გიორის შედეგი 60 მეტრიან დისტანციაზე (7,11) და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის გერდ ვესიგის მიჩვენებული სიმალეზე ხტომაში — 230 სმ.

გვირგვინი (გფრ). რაბირსტ ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს, უზგრელმა ქუეა იანოშმა ჩივენის ცხიუმიდი ლუიანი დაამარცხა (8:6) და პირველი ადგილი დაიკავა.

აუღაპაშვი. მძლეოსნთა საერთაშორისო ტურნირში რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი იქნა ნაჩვენები. ასე მაგალითად, დონია მელინტემ (რუმინეთი) ყველას 800 მეტრზე რბენაში აჯობა — 1.59,00, ლარი მირიკსმა კი სიგრძეზე ხტომაში რ. ემიანის (სსრ კავშირი) სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმეორა — 824 სმ (დახურული შენობებისთვის).

— 8.00 (1); დილის ტანვარჯიში 9.00 (2); სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი 12.55 (2) და 20.30 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი კრიკში (ნახევარფინალები) — 21.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიულში — 0.30 (2).

ქაღრაკი

გოიგო ყველა პარტია

გოიგო. მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ჰამბურგში გამართულ ერთდროული თამაშის სერიაში ყველა (32) პარტია მოიგო. ჩემპიონი ხვდებოდა 30 მოჭადრაკეს და 2 საჭადრაკო კომპიუტერს. სერანსი ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა. მსოფლიო ჩემპიონის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობას შეადგენდნენ ტელემაყურებლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სპეციალურ საჭადრაკო კონკურსებში.

კოტა ხნით ადრე კასპაროვმა ლონდონში 6 პარტია ითამაშა შეკვეცილი რეგლამენტით (მეტოქეთაგან თითოეულს 25 წუთი ეძლეოდა შეხვედრის ჩასატარებლად) ინგლისელ დილსტრატ ნიჩელ შორტთან. ორთაბრძოლის შედეგი მოგვიანებით გამოქვეყნდება, როდესაც მისი ვიდეოჩანაწერი ტელევიზიით გადაიყვანა (ეს „მოკლემეტრაქიანი“ მატჩი ტელევიზიამ მოაწყო).

რედაქტორი თ. გარეჩილაძე.



თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

14 თებერვალი

ამხანაგური მატჩი სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად

„დინამო“ (თბილისი) — „ნავთიკი“ (გაქო)

დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები ორგანიზაციებსა და სტადიონის სალონებში გაიყიდება 12 თებერვლიდან, დილის 10 საათიდან — 19 საათამდე.

აბონემენტები ძალაში აღარაა, ხოლო 1986 წლის საშვები (ყველა სახის) ვარგისია.

უამინდობის შემთხვევაში თამაში ჩატარდება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 350096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეკემბრისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: სამდიონო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენი ინფორმაცია: 66435

საქართველოს კვ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და სპორტის ორდენის მფლობელი თბილისის მთავრობის განკარგულებაშია. მისი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. 14. იხილეთ ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.